პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 286 (19128) ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია გაიხსნება 1984 წლის 15 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 13 და 14 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონი: 99-08-54, 99-92-79.

15 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1984 წლის 15 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ვემზადოთ არჩევნების შესახვედრად

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში უკვე დაიწყო რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნებისათვის მზადება. მომავალი არჩევნები, როგორც ყოველთვის, დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა იქნება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. ტრადიციულად საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებული ძალით ვლინდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ღრმა, ყოვლისმომცველი დემოკრატიზმი, საბჭოთა ადამიანების თავისუფალი ნება, რომლებიც მართავენ თავიანთ სახელმწიფოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით.

მომავალი არჩევნებით მთავრდება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის მოლი ხუთი წლის, ხოლო ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობის ორწლინახევრის პერიოდი. ეს წლები, რომლებიც აღსავსეა დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენებით, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეში ჩვენი ხალხის დაუცხრომელი ბრძოლის წლები იყო. ამ ენერგიული ბრძოლისა და შემართების მთავარი ეკონომიკური შედეგი ის არის, რომ წარმატებით სრულდება ხუთწლედის დავალებები, პარტიის წინასწარმეტყველებანი, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების კურსი.

ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს წლეულს ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა, ამ გამოსვლაში დასახული ამოცანები, მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტები, მიღებული კანონები, რეკომენდაციები. ყოველივე ეს უნდა გახდეს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი შინაარსი. პარტიული ორგანიზაციების, აგიტკოლექტივების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს წარმოების ეფექტიანობისა და მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების საკითხი. მთავარი ორიენტირები, რომელთა შესრულებასაც უნდა მოახმარონ მასების ენერგია, მათი მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, ის არის, რომ თითოეულ შრომელს ჩაუნერგოთ საგეგმო დავალებების უტყუარი რეალიზაციისათვის, ახალი სიმძლავრეების დროული ამოქმედებისა და ათვისებისათვის, ელექტროენერგიის, საწვავისა და ლითონის ყაირათიანი ხარჯვისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამასთან კი ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივაზე, გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ქმედით კონტროლზე, დეპუტატთა პირად მაგალითზე.

საბჭოური დემოკრატია, ჩვენი ყოველი საფეხურის საბჭოები უდიდეს ძალას შეიცავენ. ამიტომაც ეს ძალები კიდევ უფრო სრულად …

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1984 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საშეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის შესახებ. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

გამოქვეყნდება აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რკინიგზის ვაგონების მოცდენების შემცირებისა და ეფექტიანი გამოყენების დარგში საწარმოთა მისასვლელ გზებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს შორის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად, პრინციპულად იმსჯელა ღვინის ხილბოსტნეულის პროდუქციის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კომბინატსა და კასპის კოოპერაციაში სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტებზე. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, მისი რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო საკავშირო გაერთიანების, ცეკავშირის გამგეობის, სახალხო საქართველოს რესპუბლიკური კონტროლის, პარტიის კასპის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების აღკვეთისათვის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. ამ საქმეში დამნაშავე ხელმძღვანელებისათვის რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის ამხ. თ. კ. ჯაბადარს და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. კ. ნ. შავიშვილს მიეთითათ, ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. ფ. ალიევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. სსრ კავშირის სახალხო რესპუბლიკური კონტროლის მმართველის მოადგილეებს ამხ. ი. ა. კორტავას, შ. ლ. სულაბერიძეს, კ. შ. სვანიძესა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ჰ. ი. მარღიანიშვილს ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ჯეროვან მუშაობას არ ეწევიან მათი სამეურნეო ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში სერიოზული ხარვეზებისა და შეცდომებისათვის, დატაცებისა და წუმპეებების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისათვის საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ამხ. ვ. რ. კვალიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიის კასპის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ე. ვ. შაველაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ბიურომ გადაწყვიტა, რომ მიზანშეწონილი არ არის საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობაზე ამხანაგ ა. ი. ბოგველის მუშაობა. ცნობად იქნა მიღებული, რომ კასპის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. ეპიტაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან პირადი განცხადების თანახმად; მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა ლენინგორის რაიონის სოფლის მშრომელთა ინიციატივა ცხვრის წარმატებული გამოზამთრებისა და დარგში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევის შესახებ და რეკომენდაცია მისცა ფართოდ გაავრცელონ იგი რესპუბლიკის მეცხოველეობის რაიონებში. მასალები ამ საკითხზე გამოქვეყნდება პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ა. ანჩაბაძის ინფორმაცია რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" უპირველესი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და დაავალა შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყონ დაგეგმილი სიმძლავრეების საექსპლუატაციოდ დროული გადაცემა.

მოისმინეს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ საუწყებათაშორისო კომისიის ინფორმაცია მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ საუწყებათაშორისო კომისიამ გააქტიურა თავისი საქმიანობა და ამავე დროს ყურადღება მიაქციო იმას, რომ მეტი სიმტკიცე და თანმიმდევრულობა უნდა გამოიჩინონ მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, სამისოდ გამოიყენონ ყველა არსებული რეზერვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

არმიისა და ფლოტის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, სოციალიზმის დიად მონაპოვრებს საიმედოდ იცავენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები. კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, საბჭოთა მეომრები გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში იმაღლებენ სიფხიზლეს, ბეჯითად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას, მეთაურები და პოლიტორგანოები იდეოლოგიურ მუშაობას ამოწმებენ მისი ეფექტიანობის მაღალი კრიტერიუმებით, მხედრული შრომის საბოლოო შედეგებით. ეს ითქვა 12 დეკემბერს მოსკოვში გახსნილ არმიისა და ფლოტის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირზე. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

წლის ფინიში — დამკვრელური ტემპი!

საქართველოს მეციტრუსეთა დიდი გამარჯვება

მოწინავეთა მხარდამხარ

საქართველოს მეციტრუსეებმა ახალი დიდი წარმატება ენერგიული შრომით მოიპოვეს.

იმათ შორის, ვინც უხვი მოსავლის მიხაღებად თავი გამოიჩინა, არიან ხოხუმის რაიონის სასწავლო-საცდელი მეურნეობა „ეშერის" მოწინავე მეციტრუსე სვეტლანა კიულიანი, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობის მეციტრუსე, კომკავშირელი ნანა რუხაიშვილი, ზუგდიდის რაიონის ახალშენის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსე თინა ბედიანიძე.

ი. ჟოხონელიძის, გ. სამსონიას და ნ. ანასტასიევის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მეციტრუსეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, ვადამდე გაანაღდეს ციტრუსების დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1065 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. ციტრუსების დამზადება გრძელდება.

მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი მიჯნა

ამ დღისათვის ოთხ წელიწადზე მეტ ხანს მოელოდნენ. გზა გრძელი იყო და ამავე დროს მოკლეც. გრძელი იმიტომ, რომ ბევრი სიძნელე უნდა გადაელახათ მეციტრუსეებისა და აგროსამრეწველო კომპლექსში პარტნიორების წინააღმდეგ, თავად ბუნება ...

რესპუბლიკის მეციტრუსეებმა მიაღწიეს დიდმნიშვნელოვან მიჯნას. ეს იმის საწინდარია, რომ შემდგომში ყველა ვინც დაკავშირებულია საქართველოს სუბტროპიკული მიწათმოქმედების ამ წამყვანი დარგის აღმავლობასთან, წვლილს შეიტანს დარგის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

ნ. ქებაძე,
საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

დაუღალავი გარჯით

წლევანდელი ალოობა ადვილი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ ბრიგადას, კოლმეურნეობის ყველა მშრომელს მიზნად ჰქონდა დასახული, რომ მაქსიმალური წვლილი შეეტანა საერთო საქმეში. ბრიგადამ ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და მჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ მოკრიფა მთელი მოსავალი. ჩვენთვის გამოყოფილ 27 ჰექტარზე 270 ტონაზე მეტი ციტრუსი მოვიწიეთ. ჩვენმა მეურნეობამ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ალოობა. შესრულდა გეგმა-ვალდებულება და სახელმწიფოს მიჰყიდა ათას ტონაზე მეტი პროდუქცია.

წარმატებას საძირკველი ჩვენ კიდევ გაზაფხულზე და ზაფხულში ჩავუყარეთ. პლანტაციების საგულდაგულო მოვლა, აგროტექნიკური წესების ზუსტი დაცვა, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა — აი შრომითი გამარჯვების განმსაზღვრელი პირობები.

ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავია ზამთრის მინდვრის სამუშაოები, მომავალი მოსავლის საძირკვლის ჩაყრა.

ციური მოწყობილი,
ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეციტრუსე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მთავარია საქმე გიყვარდეს

ნონა ჩხარტიშვილმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეთა შორის პირველმა შეასრულა ციტრუსის დამზადების ხუთი წლის დავალება. კომკავშირელმა ქალიშვილმა ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი მოკრიფა, რაც ერთიორად აღემატება დასახულს.

რა „საიდუმლომ" განაპირობა მეციტრუსის წარმატება?

— მთავარია გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები, — ამბობს ნონა, — მკაცრად იცავდე ნარგავების მოვლის ყველა აგროტექნიკურ წესს.

ნონას დამრიგებელი, საბჭოთა მეურნეობის უხუცესი მშრომელი ტ. კვირკველია მას თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ თვლის.

— ნონა სწრაფად ითვისებს ყველა გაკვეთილს, — ამბობს დამრიგებელი. — და რაც მთავარია, ამ გაკვეთილებს თავისი მუშაობის პრაქტიკით ავსებს. მაგალითად, ასე მოხდა შარშან, როცა ჩვენს პლანტაციებს ყინვა დაატყდა თავს, ნონამ ამხანაგებს ზედების, განსაკუთრებით ლიმონის ხეებისათვის მიწის სწორად შემოყრის მაგალითი უჩვენა, მან წინასწარ იზრუნა საამისოდ, ყოველ ხესთან მოამზადა საჭირო რაოდენობის მასალა, რომლითაც სითბური ზღუდე შემოავლო ნარგავებს. ნონა საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი აქტიური კომკავშირელია. იგი ყოველთვის მხარს უჭერს სასიკეთო თაოსნობებს. მაგალითად, წლეულს მისი ინიციატივით ყველა კომკავშირელმა მიიღო მონაწილეობა საკვების დამზადებაში. მოხალისე თანამემწეების ბრიგადამ, რომელსაც ნონა ხელმძღვანელობდა, 300 ტონა საკვები დაამზადა. ახალგაზრდობის თაოსნობა საბჭოთა მეურნეობის დაეხმარა საკვების წელიწად-ნახევრის მარაგის შექმნაში და პირუტყვის კარგ გამოზამთრებაში.

ქალიშვილმა შეასრულა ხუთწლედი, მაგრამ მოფიქრებს არ დასჯერებია. მან პირობა დადო, რომ დამატებით მოკრეფს 300 კილოგრამზე მეტ ციტრუსს. და იგი არ გატეხავს თავის სიტყვას, ვინაიდან კომკავშირელი ქალიშვილის სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთია.

მექანიზატორები საგაზაფხულოდ ემზადებიან

ОО ПРАВДА

არც ისე დიდი ხნის წინ მიწათმოქმედებმა მინდვრები მიატოვეს, მაგრამ ახლა სხვა გადაუდებელი საზრუნავი გაუჩნდათ — სანიმუშოდ უნდა მოემზადონ მეთერთმეტე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის გაზაფხულისათვის, — ნათქვამია გაზეთ „პრავდის" 12 დეკემბრის მოწინავეში, — რომლის სათაურია — „მექანიზატორები საგაზაფხულოდ ემზადებიან".

ცნობილია, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ეგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება დიდად არის დამოკიდებული მექანიზატორებზე, მათ კეთილსინდისიერ შრომაზე იმისათვის, რომ გაზაფხულის დადგომამდე წესრიგში მოიყვანონ სამექანიზაციო პარკი, ყველა მანქანა სრულყოფილად იყოს შეკეთებული.

საქართველოს, სომხეთის, ესტონეთის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველი ათი ტრაქტორიდან ...

გულითადი მილოცვა

პარტიული ცხოვრება
ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

1. წინამძღოლს მეჩს უნდა სთხოვდნენ

ხელვაჩაურის რაიონის მაღალი ძაბვის საქსელო საწარმოს პარტიული ორგანიზაციის ღია კრება საწარმოს ხელმძღვანელის ი. რუხაძის ანგარიშს ისმენდა. მან თავისი სათქმელი ასე ჩამოაყალიბა: დავიბადე 1947 წელს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში, მშობლები რკინიგზელები იყვნენ, ორთავე კომუნისტი. მათი უანგარო შრომა და საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულება ჩემთვის მისაბაძი მაგალითი გახდა. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1974 წელს მუშაობა დავიწყე ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად. ერთი წლის შემდეგ სამუშაოდ გადავედი „საქმთავარენერგოს" ბათუმის ელქსელების სამსახურის უფროსის ინჟინრად, ხოლო წლის ბოლოს დამნიშნეს ახლადგახსნილი „დიდი ბათუმის" უფროსის ოსტატად. 1979 წელს დამაწინაურეს საწარმოს უფროსად, 1980 წელს მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში, მეუღლე პედაგოგია, მყავს სამი შვილი...

განვლილი ამბებიდან ღია პარტიული კრებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო რაიონის საქსელო საწარმოებში მუშაობის პერიოდი. ახლადჩამოყალიბებულ საწარმოში პრაქტიკული საქმიანობა ნაწილობრივ შეიძლება ხელმძღვანელისთვისაც არ იყოს ყოველმხრივ ნაცნობი. ი. რუხაძე არ თაკილობდა გამოცდილი სპე- [illegible] ხოვს, ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობს.

დახასიათება ერთობ ძუნწი და ზოგადი აღმოჩნდა. კრიტიკულად მხოლოდ ის აღინიშნა, რომ ი. რუხაძეს ახასიათებს აჩქარება და ზედმეტად ემოციურია, თუმცა არავერი თქმულა კონკრეტულად რით გამოიხატება მისი „აჩქარება", კომუნისტის ანგარიში და დახასიათება მხოლოდ ბიოგრაფიული მასალის გადმოცემას, მხოლოდ პიროვნების გაცნობას როდი გულისხმობს, იგი პრობლემების, საკვანძო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის კრება უნდა იყოს.

საქსელო რაიონის პროფკავშირული ორგანიზაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბაგირაძემ, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა რ. გოგიაშვილმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. გოგუამ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს საწარმოს ხელმძღვანელის დადებით თვისებებზე, მის ლაჟღაზე, არც მისი „ემოციურობა" დაივიწყეს, რაც ზოგჯერ ხელს უშლის „სიტუაციის სწორ შეფასებაში". ეს იყო და ეს. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ვთქვით, კრება არ შეეხებია უფრო ღრმა, საკვანძო საკითხებს, რომელთა მოგვარება საწარმოს ხელმძღვანელსა და მთელ კოლექტივს ევალება. კრების ტონი მიგრძნობოდა, რომ ისინი წარმოების ხელმძღვანელს ახასიათებდნენ და ეს კი მათ თავისებურად ბოჭავდა. მაგრამ მით უმეტეს, როცა საკითხი საერთო ინტერესებს ეხება, კომუნისტები ვალდებულად უნდა იმაღლებდნენ ხმას, ეს პარტიული ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

2. დამაფიქრებელი დითირამბები

[illegible]

მამებლობის ასეთივე ტონით არის შედგენილი კრების მიერ მიღებული დადგენილება.

სკოლის დირექტორი კრიტიკულად შეხვა ნაკლოვანებებს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პლენუმი

აბაშა. („კომუნისტის" საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება „სოფტრანსის" თავმჯდომარედ დამტკიცებასთან დაკავშირებით, პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. რ. ა. ლეონჯავა.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ი. გუნავა, რომელიც მანამდე პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

შრომის ვახტზე არიან მქსოველები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი ცირა გაფრინდაშვილი ხათვეში ჩიუდგა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას. ხუთწლედის ოთხი წლის დავალება მან 1 ოქტომბრისათვის შეასრულა, ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა წლის დავალებაც.

მიმდინარე წლის დავალების ვადამდე შესრულება გაერთიანების სხვა მრავალმა ცალკეულმა მქსოველმა და ბრიგადამაც უპატაკა სამშობლოს. რომან კაკაშვილის ბრიგადა, მაგალითად, უკვე 1987 წლის ანგარიშში შრომობს. ამ კოლექტივის ანგარიშზეა 40 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი.

სურათებზე: თბილისელ მქსოველთა შრომითი მეტოქეობის ლიდერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცირა გაფრინდაშვილი; მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ კომუნისტური შრომის ბრიგადის მქსოველები, ციური ფიფია და რიმა ვალიევა.

მ. დათიკაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონტროლზეა მკითხველთა წერილები

თბილისელი მოქალაქე ჯ. ხარჩილავა გვწერს, რომ რედაქციაში გამოგზავნილ ადრინდელ განცხადებაზე მიიღო პასუხი: „თუ სამუშაოზე განაწილებული ხართ ბინით დაკმაყოფილების პირობით, ადმინისტრაცია ვალდებულია პირველ რიგში დაგაკმაყოფილოს ბინით". სამსახურში ეს პასუხი არ გაიზიარეს, თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომიც საგარეოს საწინააღმდეგოდ წყვეტს და უპასუხებს, რომ ორგანიზაციაში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტები ბინით კმაყოფილდებიან საერთო რიგის მიხედვით.

[illegible]

დექსს, მათ მიმართ მიიღებენ მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებს.

• • •

გურჯაანის რაიონიდან მოქალაქე თ. ჭალიაშვილი გვატყობინებდა სოფელ ბაკურციხის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომიდან გვწერენ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია.

მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა სწორდება, წელსაც მოვყავთ წყალსადენი, შედგენილია სასმელი წყლის მიწოდების [illegible]

სადღეისო თემაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმმა ამოცანად დასახა შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით დამატებითი გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების გეგმის გადაჭარბებით ნახევარი პროცენტით შემცირება. ამ დიდი მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები ჩვენი რესპუბლიკა იყო, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას განსაკუთრებით ბევრს ავალებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურ- [illegible]

[illegible]

თის რაიონი, და აი, რა სურათი წარმოგვიდგა.

რაიონში 17 საბჭოთა მეურნეობაა, რომელთა განკარგულებაშია 224 სატვირთო ავტომანქანა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანათა პარკების კონცენტრაცია დიდად განსხვავებული მეტ-ნაკლებობით ხასიათდება. მაგალითად, ძალისის საბჭოთა მეურნეობას 36 სატვირთო ავტომანქანა ჰყავს, მუხრანისას — 23, საგურამოსას — 3, მცხეთის საწერეთში — 7 და ა. შ. რაიონის ერთ საბჭოთა მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 16 ავტომანქანა. წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და სავარგულებზე გაანგარიშებით სატრანსპორტო საშუალებები სწორად არ არის განაწილებული საბჭოთა მეურნეობებს შორის.

ჩვენს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობა- [illegible]

სატვირთო ავტომანქანების გამოყენების დაბალი დონე ცუდი ადგილობრივი გზებითაც არის გამოწვეული. ამიტომ გზების კეთილმოწყობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

მცხეთის რაიონში ადგილობრივი გზების საერთო სიგრძე 295 კილომეტრია, აქედან მოასფალტებულია 86 კილომეტრი, მოხრეშილია 2000 კილომეტრი, ხოლო 9 კილომეტრი ყამიროვანი გზაა. არსებული მონაცემებით მოლდავეთსა და ბელორუსიაში ყოველ 1000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დაახლოებით 3-3,5 კილომეტრი მოასფალტებული გზა უზრუნველყოფს მტკიცე სატრანსპორტო კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. მცხეთის რაიონში კი, როგორც განგარიშებიდან ჩანს, ყოველ 1000 ჰექტარ სავარგულზე მოდის მხოლოდ 360 მეტრი მოასფალტებული გზა და [illegible]

სოფელს — საიმედო გზა და ტრანსპორტი

[illegible]

რაიონში ავტომანქანათა რაიონული ცენტრალიზებული გაერთიანებების შექმნა გამართლებული შეიქნა მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ, მოლდავეთში. ამგვარი რეორგანიზაციული პროცესები ჩვენს რესპუბლიკაშიც იყო. ამჟამად ზოგიერთ რაიონში მისი კოლმეურნეობები ემსახურებიან შეჯიბრებული რაზმები, რის შედეგადაც გაიზარდა ტექნიკის კონცენტრაციის დონე, გაუმჯობესდა მისი გამოყენება, შემცირდა შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება. აღნიშნული ღონისძიება დადებით შედეგებს მოგვცემდა სატვირთო ავტომანქანების მიმართაც. წინასწარი გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ ამ გზით რაიონში შეიძლება სრულად დაკმაყოფილებინა ავტომანქანებზე მოთხოვნილებები. ამჟამად კი ეს მოთხოვნილებები მხოლოდ 75 პროცენტით კმაყოფილდება...

[illegible] შესრულება შეუძლიათ რაიონულ აგრონომიულ გაერთიანებებს ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე. ასეთი სამუშაოები მცხეთის რაიონში არ არსებობს. რაიონის გაერთიანებას შეუძლია აამუშაოს გაუკეთოს წლისწადში მხოლოდ 130 ათას მანეთს, ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა კი 80 ათასი მანეთი ჯდება. ამიტომ ამ საქმეში უფრო მეტი მონაწილეობა ენიჭება რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

კარგი გზები და გამართულად მომუშავე „ტრანსპორტი ფუძეა". ლებელია სოციალური საკითხების მოგვარებისთვისაც. მიგრაციის მთავარ მიზეზად ცუდი სატრანსპორტო მომსახურებაც ითვლება. გავაუმჯობესოთ დიდი ინვესტიცი ეკონომისტის ადამ სმითის სიტყვები, კარგი გზები სოფლებს ქალაქის გარეუბნებად აქცევს.

ა. გრიშიკაშვილი.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებს

ცეკავშირის გამგეობა

ჩვენი გაზეთის 17 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „დარღვევები ქვლავ გრძელდება" რომელშიც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის [illegible]

მიერ ყვარლის რაიკოოპერატივის სისტემაში გამოვლენილი დარღვევების განხილვის შედეგების შესახებ. ამის გამო ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. წილოსანი გვწერს.

ცეკავშირის სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცა ყვარლის რაიკოოპერატივში გამოვლენილ დარღვევებს და მიიღო რეკომენდაცია რათა გამგეობამ განიხილა რაიკოოპერატივის გამგეობის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი. გამგეობამ გაითვალისწინა კომისიის რეკომენდაცია და მიიღო ზომები, კერძოდ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მოდუნებისა და დაქვემდებარებულ ობიექტებზე კონტროლის შესუსტებისათვის, რამაც გამოიწვია ვაჭრობის წესების დარღვევა, ყვარლის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს ჯ. ხარებავას გამოეცხადა საყვედური. ადგილზე კი ყვარლის რაიკოოპერატივის გამგეობამ შესაბამისი ღონისძიებები განახორციელა.

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

მარქსისტულ-ლენინური განათლების აქტიური ფორმა

თანამედროვეობის მთავარი პრობლემა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზის ისტორიული გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს [illegible]

[illegible]

ჟურნალისტთა ბიჭვინთის შეხვედრების გაკვეთილები

ბიჭვინთაში დამთავრებული რესპუბლიკის ახალგაზრდა ჟურნალისტების სემინარი ორდღეგაბზევით გამოერია პრესის მუშაკთა სადაგ დღეებში. მაგრამ სწორედ ბიჭვინთაში ჟურნალისტებს კვლავ მოუწიათ მისდომოდნენ... მერხებს. პროფესორმა შალვა ამონაშვილმა ჩაატარა ღია გაკვეთილი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის, რომელთა როლსაც სემინარის მონაწილენი ასრულებდნენ.

გაკვეთილმა თვალნათლივ წარმოაჩინა ცნობილი ქართველი პედაგოგის, მთელ ქვეყანაში პოპულარული წიგნის — „გამარჯობათ, ბავშვებო!" — ავტორის ახალი მეთოდიკა. მან მსმენელებს შესაძლებლობა მისცა წიგნიდან დაენახათ, უფრო სწორად გამოჰყოლოდნენ სწავლების მთელი პროცესით, რომელიც არა მარტო შემეცნების, არამედ ზნეობრივი აღზრდის დიდ მეხსაც შეიცავს.

„ნამდვილი მასწავლებელი ბროლივით სუფთა ფანჯარას ჰგავს, რომლის მიღმა მთელი სამყარო მოჩანს" — შ. ამონაშვილის ეს სიტყვები, რომლებიც თითქოსდა, წმინდა პროფესიულ პრინციპს გამოხატავენ, ...

— ხშირად მეკითხებიან — ვის შეუძლია გმირობის ჩადენა? ვუპასუხებ: კეთილ ადამიანს, — თქვა მან საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. — სიკეთე დიდი ძალაა. მას სიმართლე, გულწრფელობა, სიცოცხლის სილამაზე ამკვიდრებს. ამკვიდრებს ყველაფერი, რისი დანახვაც და ასახვაც უნდა შეეძლოს ჟურნალისტს. ბიჭვინთის შეხვედრამ დიდი სიხარული მომანიჭა. აქ, ამ ადგილებში, მდინარე ფსოუსთან იბრძოდა მამაჩემი — არკადი გაიდარი. საქართველო იყო ცოლთან — ცხოვრების მეგობართან და თანამებრძოლებთან პირველი შეხვედრის ადგილი, საქართველოში მოჩქა ბევრი მეგობარი. აქ ახლაც სემინარის მეგობრულ, უშუალო ატმოსფეროში ვიგრძენი, რომ ახალგაზრდობის აზრებისა და საქმეების კამერტონი, როგორც ყოველთვის, კეთილი საწყისია...

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი ი. ფესუნენკო, საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. გიგინეიშვილი, ...

... ნ. ოსტროვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის, ჟურნალისტ ქ. რაშის გამოსვლებიც.

მოქალაქის, სამშობლოს დამცველის აღზრდაში პრესის როლის თემა ახლებურად წარმოჩინდა თვალსაჩინო ჟურნალისტთან, კონტრადმირალ თემურ გაიდართან შეხვედრისას, რომელმაც დიდხანს იმუშავა გაზეთ „პრავდაში".

... ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნ. ტაბიძე და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ახალგაზრდობის სექციის ხელმძღვანელი გ. ლომიძე.

სემინარზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის დარგში მიღწევებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 11 დეკემბერი.

„პარტიული სიტყვა" № 22

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, ოცდამეორე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საინფორმაციო ცნობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე; სკკპ ცენტრალურ კომიტეტში.

რუბრიკით „ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს" და საერთო სათაურით — „ახალი, დიდი ეტაპი" გამოქვეყნებულია წერილები: ს. კავთუაშვილისა — ჩვენი ამაღორძინებელი; ა. ლოლიძეშვილისა — მიპატრონეთ და გიპატრონებთ... ვ. გადელიას — საქმე თავსაყრელი გვაქვს.

ანმლაგით „დღეს როგორც ვიშრომებთ, ხვალ ისე ვიცხოვრებთ" თქვენ გაეცნობით ქ. ელიზბარაშვილისა და ბ. გულიაშვილის წერილს — მივიწყებული პროცენტები.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სიტყვა — საქმიანი!"; „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი"; „პარტიული სწავლება"; „ისტორია და თანამედროვეობა" და სხვ.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საქვეყნო იუწყება

● ნიკარაგუა

ვაშინგტონის ტერორისტული შანტაჟი

● ნიკარაგუა-ამერიკის მეცხრე შეხვედრა

● უხეში სამხედრო ზეგავლენა

● დაქირავებულ ბანდიტთა სისხლიანი დანაშაული

მანაგუა. ნიკარაგუის ნუევას საგენტოს ცნობით მექსიკის ქალაქ მანსანილიოში მიმდინარეობს ნიკარაგუა-ამერიკის მეცხრე შეხვედრა. როგორც ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა, ახლახან ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულმა დანიელ ორტეგამ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში, ამ შეხვედრის დროს ნიკარაგუა კვლავ მტკიცედ დაიცავს თავის პოზიციას. იგი მხარს უჭერს ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების პოლიტიკურ და მშვიდობიან გადაწყვეტას.

ნიკარაგუა-ამერიკის წინანდელმა შეხვედრებმა ვერ მოიტანეს რაიმე სერიოზული შედეგი შეერთებული შტატების ... ვაშინგტონის ადმინისტრაციის ობსტრუქციონისტური პოზიციის გამო, რომელიც გამოუცხადებელ ომს აწარმოებს სანდინისტური სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ.

რეიგანის ადმინისტრაცია განაგრძობს უხეშ სამხედრო ზეგავლენას ნიკარაგუაზე, ცდილობს ჩაახშოს ქვეყანაში რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესი. აქ მოსული ცნობების თანახმად, ჰონდურასის კორტესის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა კიდევ ერთმა ამერიკულმა ფრეგატმა, რომელიც შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატების ათ სამხედრო ხომალდს, ალყა რომ შემოარტყეს რესპუბლიკას. ამერიკული არმადა, რომელსაც აქეზებს ვაშინგტონი დაუსრულებელი სამხედრო-საზღვაო მანევრების საბაბით, პროვოკაციულ რეიდებს აწყობს ნიკარაგუის, ატლანტისა და წყნარი ოკეანის წყლებში, იწვევს რადიო-ელექტრონულ ჯაშუშობას. წარმოადგენს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ზღვის მეკობრეებისათვის ქვეყნის სანაპიროზე შეიარაღებული იერიშის ბაზას.

დაქირავებულმა ბანდიტებმა, რომლებსაც იარაღებს და აფინანსებს ვაშინგტონი, ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ. ... დეპარტამენტში სომოსელმა არამზადებმა მხეცურად დახოცეს კავშირგაბმულობის სახელმწიფო ინსტიტუტის ხუთი უიარაღო მუშაკი. ეს ვერაგული აქცია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცდების შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს მოშალოს ნორმალური ცხოვრება ჩრდილოეთის საზღვრისპირა რაიონებში, დათესოს ტერორი და პანიკა მოსახლეობაში.

დაქირავებული ბანდების დანაშაული ნიკარაგუის მამაცი დამცველების მედგარ წინააღმდეგობას აწყდება. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მისმა სპეციალურმა ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს ქვეყნის ჩრდილოეთ დეპარტამენტში მოქმედი სომოსელთა ორი დაჯგუფება. წარმატებითი მოქმედების შედეგად ნიკარაგუელმა მეომრებმა მოკლეს 30-მდე კონტრრევოლუციონერი, ბევრი დაჭრეს და ხელთ იგდეს მათი კუთვნილი ამერიკული წარმოების იარაღი. დეკემბრის პირველ დღეებში სანდინისტურმა სახალხო არმიამ მოსპო ასზე მეტი ამერიკელი დაქირავებული.

● დასავლეთ ბერლინი

დაარღვიეს ოთხმხრივი შეთანხმები

დასავლეთ ბერლინი. ბონმა კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვია ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის თაობაზე. ამ ქალაქში ამერიკის სამხედრო თვითმფრინავით ჩამოსულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. დ. გენშერმა მიიღო დასავლეთ ბერლინში ვიზიტად მყოფი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ჰოუ და მოლაპარაკება გამართა მასთან. რაინის ნაპირებზე კარგად იციან, რომ ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად დასავლეთ ბერლინი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი და არ შეიძლება მის მმართველობას ექვემდებარებოდეს. მიუხედავად ამისა, იქ იყენებენ ყოველგვარ საბაბს ამ ქალაქზე თავიანთი არაკანონიერი პრეტენზიებისათვის.

დასავლეთ ბერლინში გამოსვლისას გენშერმა განაცხადა, რომ ახლა უნდა იმოქმედონ „ყველა სფეროში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის". ამავე დროს ბონის პრაქტიკული მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება ამ ნათქვამს. დასავლეთ ბერლინის თაობაზე ოთხმხრივი შეთანხმება ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმუხტვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია და მისი დარღვევა სულაც არ უწყობს ხელს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სტატისტიკა და ფოტოფაქტი





კაპიტალისტური სამყარო:

საზოგადოების უმწვავესი პრობლემა

მასობრივი უმუშევრობა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. ად-ის სააგენტოს (გდრ) მიერ შედგენილ დიაგრამაზე ზრდის მრუდი ასახავს უმუშევრობას „საერთო ბაზრის" ათ ქვეყანაში 1980-1984 წლებში. ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მონაცემებით) რამდენიმე მილიონს აღწევს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ახალგაზრდები. სამუშაო არა აქვს 25 წლამდე ასაკის ჭაბუკებისა და ქალიშვილების 39,3 პროცენტს.

სურათზე: ჟურნალ „ინდასტრი უიკიდან" (მარცხნივ): უმუშევართა რიგი პიტსბურგის მუშაობის დამქირავებელ ბიუროსთან. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ წვიმდა აქ ასობით კაცმა მოიყარა თავი მას შემდეგ, როცა ქალაქში ხმა გავრცელდა, რამდენიმე ვაკანსია გამოჩნდაო.

● გფრ

„აქ გაგიცავა!" — ეს ფრაზა გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ, თურქულ და სხვა ენებზე წარწერილია შტუტგარტის ერთ-ერთი საწარმოს გაფიცვის მონაწილის პლაკატზე (სურათზე მარჯვნივ). იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ უცხოელ მუშებს განეკუთვნება, რომლებიც თუნდაც რაიმე სამუშაოს საშოვნელად თურქეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ. ეს „მეორეხარისხოვანი ადამიანები" იძულებული არიან, როგორც წესი, ყველაზე მძიმე და ...

● აშშ

მილიონობით ამერიკელი მშრომელი წინანდებურად მოკლებულია ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას — შრომის უფლებას. შრომის სამინისტროს ცნობით, ზოგიერთ თვეში „ზედმეტ ადამიანთა" რიგებს 70 ათასამდე კაცი ემატება ...

თანამშრომლობის კანონით

● ●

ჭაგუკი ნიანგის ხახიდან

ბეირა. „რუმად, მიმდინარეობს ოპერაცია" — იკითება მწვანე ტაბლო ბეირის ცენტრალური ჰოსპიტლის საოპერაციო ბლოკის შესასვლელთან. მაგიდასთან არის სოხუმელი ექიმი — ოფთალმოლოგი ე. ვ. ბიგვავა. მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში მუშაობის მანძილზე მან უკვე 500-ზე მეტი ოპერაცია გააკეთა, თვალი აუხილა ქვეყნის ასობით მცხოვრებს.

ე. ვ. ბიგვავა აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქის — ბეირის ჰოსპიტალში საბჭოთა ექიმების ჯგუფის ხელმძღვანელია. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები აქ ჩამოვიდნენ 1976 წელს, ახლა უკვე ცხრამეტნი არიან. მოზამბიკელთა არაერთი მადლობა დაიმსახურეს ლარინგოლოგიის განყოფილების გამგემ, გროდნოელმა ე. ა. ლოგისმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, კიეველმა ლ. ს. ჩიჟოვამ, რომელიც ჰოსპიტლის სამშობიარო სახლის დირექტორად მუშაობს. ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგემ, მინსკელმა ბ. ი. ზახარიევმა. ბეირასა და მის ... ავწყდებიან. მაგალითად, ამას წინათ ჰოსპიტალში მოიყვანეს ჭაბუკი, რომელიც თანასოფლელებმა რაღაც სასწაულად გამოსტაცეს ხახიდან ხუთმეტრიან ნიანგს. საჭირო იყო სასწრაფო ქირურგიული ჩარევა. დიდხანს მოუხდა ბრძოლა მის გადასარჩენად უროლოგიური განყოფილების გამგეს, სიმფეროპოლელ ა. ნ. მამას.

შეხანსხენდ ხანდ
მოკლედ
ტელეტაიპის ლენტიდან

● ლონდონი. კონსერვატორთა მთავრობა ... რეჟიმთან თანამშრომლობის გაფართოების გზაზე. როგორც გაზეთი „ობსერვერი" იუწყება, ლონდონმა გადასცა ჩილეს ერთ-ერთი თავისი ბაზა ადელეიდის კუნძულზე, ანტარქტიდის სანაპიროს მახლობლად. გადაცემის მომზადება და განხორციელება მოეწყო „ზედმეტი რეკლამის" გარეშე, რათა არ გამოეწვიათ ინგლისელთა ახალი უკმაყოფილება.

● ამანი. ისრაელი ხელისუფლები განაგრძობენ აგრესიის შედეგად დაპყრობილი არაბული ტერიტორიების უკანონო კოლონიზაციას. აქ მიღებული ცნობების თანახმად, ოკუპანტებმა კონფისკაცია უყვეს ქალაქ ელხალილის რაიონში პალესტინელთა კუთვნილი მიწების 1700 დონუმი ...

● ნიუ-იორკი. ... ცხოვრებით" და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შენელებით. გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი" იუწყება, რომ ერთი კვირის წინათ 1.000 მუშის დათხოვნა გამოაცხადა ამ დარგის სხვა კომპანიამაც „პანიელ ინკორპორეიტიდმა".

● ეთიოპია

გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება

ადის-აბება. ეთიოპიის მთავრობის მიერ შემუშავებული გვალვის შედეგების ლიკვიდაციის კომპლექსური პროგრამის შესრულების მიმდინარეობა განიხილეს ამ სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კომიტეტის აქ გამართული სხდომის მონაწილეებმა. სხდომა მიმდინარეობდა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის თავმჯდომარეობით.

პროგრამის მთავარ მიზანთა შორის არის არა მარტო შიმშილის საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ გლეხებისათვის ისეთი პირობების შექმნაც, რომ მათ მოკლე დროში შეძლონ მიაღწიონ სურსათით თვითუზრუნველყოფას. ეროვნული კომიტეტის შექმნის შემდეგ განვლილ მოკლე პერიოდში ამ მიმართულებით უკვე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა, აღინიშნა სხდომაზე. პირველი რამდენიმე ათეული ათასი კაცი გვალვიანი პროვინციებიდან ორგანიზებულად გადასახლდა უფრო ნაყოფიერ პროვინციებში. მთელ რიგ რაიონებში მიმდინარეობს გზების, საცხოვრებელი სახლების, ჭებისა და სარწყავი სისტემებისათვის პატარა კაშხლების ფართო მშენებლობა.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გააქტიურდეს მეცადინეობა გვალვით დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის სურსათისა და მედიკამენტების საგანგებო მიწოდებისა და განაწილებისათვის. ამ მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება განმტკიცდეს კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილება.

შევაჩეროთ საინფორმაციო „ჯვაროსნული ლაშქრობა"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუცია

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოუწოდა წვლილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცებაში, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტში გამართული დისკუსიის მონაწილეთა გამოსვლები მოწმობს მეტ წილ სახელმწიფოთა აღშფოთებას „ჯვაროსნული ლაშქრობის" გამო, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ზოგიერთმა სხვა დასავლეთის ქვეყანამ წამოიწყეს სამართლიანი საერთაშორისო საინფორმაციო ...

ტონ მშრომელებს ჩვენი გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, ფაშისტ-დამპყრობლების განადგურებისა და თანამედროვე ცივილიზაციის ხსნაში საბჭოთა ხალხის გადამწყვეტი როლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელების გზით მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა გადავჭრით აცყვანოთ იმ დიდი და ...

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით მივიჩნიოთ ბირთვული ომის თავიდან აცილება ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად, არ დავუშვათ სიტუაციები, რომლებსაც შეიძლება მსოფლიო ომი მოჰყვეს; გზა გა...

3. ა. ლენინი შეუდარებელი ... ა. ხრიმლი.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ.

1944 წლის 8-13 დეკემბერი:

● 7 დეკემბერს კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“ გადაეცა ავიაციის მარშალს თევდორე იაკობის ძე ფალალეევს. მასვე გადაეცა კუტუზოვის I ხარისხის ორდენი და წითელ არმიაში ხანგრძლივი, უმწიკვლო სამსახურისათვის — წითელი დროშის ორდენი.

● 7 დეკემბერს ლენინგრადიდან მოსკოვს თავის ოჯახიანად ჩამოვიდა ცნობილი დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე. მახლობელ დღეებში იგი შეხვდება დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

● მთავრობის სპეციალურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებული არიან I ხარისხის სამამულო ომის ორდენით სახელმწიფო უშიშროების კომისარი გ. ტ. კარანაძე, მილიციის III რანგის კომისარი ქ. გ. ნაჭყებია და სხვ.

● სახელოვანი წითელი არმია ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, გადალახეს მდინარე [...]

ქოჩარი

პირველი არაქართველი კაცი, რომლის სულშიც შევძელი ღრმად ჩამეხედა ომის დროს, სომეხი მწერალი რაჩია ქოჩარი გახლდათ. ეს იყო მთის ტბასავით ანკარა სული, რომელშიც ირეკლებოდა მთელი ცის ფუმფათი თავისი მნათობებიანად. ამ მთის ტბას კიდევ ერთი მგავსური თვისება ჰქონდა — თვითონ ხედავდა, ჰვრეტდა ყოველივეს, მათ შორის იმასაც, რასაც ვერ ჭვრეტდით ჩვენ, მისი ამხანაგები. ასეთ პიროვნებაზე ამბობენ, კაცური კაციაო. ამასთან, ისეთი აზოვანი იყო, პირდაპირ გასაკვირი იდგა მის ძალუმ სხეულზე შემოტმასნებულ სამხედრო შარვალ-ხალათს, და თუ არა ქსოვილისა და ნაკეროების გამძლეობა, სიდიდეა უნდა შემოსკდომოდა ტანზე. მარტო ჩვენ, ქართველებს როდი გვიყვარდა რაჩია ქოჩარი. ყველა — რუსი თუ აზერბაიჯანელი, უზბეკი თუ უზბეკი, ლატვიელი თუ ესტონელი, ლატველი თუ თათარი, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. სომეხი ამხანაგებისათვის ხომ პირდაპირ უგვირგვინო მეფე იყო. ნუ გაიკვირვებთ, ამდენი ეროვნება რომ ჩამოვთვალე — ეს ადამიანები მხარდამხარ ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ და იბრძოდნენ. ძირითადი საფრონტო ყოველდღიური გაზეთი „სუვოროვეცი“ ხომ რუსული ენის გარდა ამ ხალხთა ენებზეც გამოდიოდა.

თავმდაბლობა, ნიჭი, სიბრძნე, კაცთმოყვარეობა — აი რაჩია ქოჩარის ხასიათის თვისებები, რომლებითაც გვხიბლავდა, საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა.

რაჩია ქოჩარმა კარგად იცოდა რუსული და, როგორც ავტორი, დიდ პატივში იყო „სუვოროვეცის“ რედაქციაში.

ვამაყობ, რომ რაჩიას მთელი გულით უყვარდი ჩემი ფიცხი ხასიათის მიუხედავად. ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს ასეთი მომხიბლავი ღიმილი, როგორიც რაჩიას დასთამაშებდა ხოლმე სახეზე, ვითარცა თავისებური გამონაცური მისი კეთილი სულისა. ასეთი ღიმილით, მგონი, თავდასხმისათვის შემართულ ვეფხვსაც კი გააშეშებდა.

მასთან ერთად ვყოფილვარ უფრო ცხელ ბრძოლებში, და პირდაპირ ბრაზს მგვრიდა მისი სულგრძელი სიმშვიდე. როცა ჩვენს გარშემო ყუმბარები ფეთქდებოდა, ყველაზე მიწას გაეკვრებოდით ხოლმე, ის, ვითომ არაფერიაო, მშვიდად მიაბიჯებდა და ათვალიერებდა გარემოს, თითქოს ამ შემზარავი ბატალური სცენების დამდგმელ-რეჟისორი ყოფილიყოს. იგი თითქოს ღიმილით აფრთხობდა სიკვდილს, ყოველ ნაბიჯზე რომ ჩაგვსაფრებოდა.

საოცრად გულმავიწყი კაცი იყო — სად სათუთუნე დარჩებოდა, სად — ფანქარი თუ ქუდი... მოდა, მიდი, ვილოდია და ეძებე. „ნუ მოჯავრდები, ვილოდიაჯან, ხდება ხოლმე, ხან რა დაგრჩება კაცს და ხან რა!“ — მანუგეშებდა რაჩია. მაგრამ ეს იყო იმ აზრების ლაბირინთში ჩაღრმავებული შემოქმედის დაბნეულობა და გულმავიწყობა, რომელთა ნაყოფი გახლდათ მისი წიგნები: „დიდი სახლის შვილები“ — ქართველი გენერლის თავართქილაძის სახელმოხვეჭილი დივიზიის შესახებ, „გენერლის და“ და ბევრი სხვა, რომლებმაც ქვეყანა მოიარა.

და აი, ომიც დამთავრდა. ჩვენ სალ-სალამათნი ვართ. რაჩია ქოჩარის მოზეიმე რიგაში შევხვდი. ვუჩვენე ის-ის იყო გადაღებული ფოტოსურათი — საბრძოლო ჯილდოებით დამშვენებული ოფიცრის მუნდირი მაცვია. არცთუ ურიგო ყმაწვილი კაცი ვარ — ქოჩორა, თვალები პატარა ბიჭივით მიციმციმებს. ეჰ, რა დრო გასულა მას შემდეგ! მაგრამ ყოველთვის ვწითლდები ხოლმე, ეს ამბავი რომ მახსენდება: რაჩიამ მთხოვა, მაჩუქეო ეგ სურათი... ჩავფიქრდი, მე ხომ ვაპირებდი ფოტო გამეგზავნა დედისთვის, შვილებისთვის, დებისთვის, რომლებმაც რა ხანია ჩემი ამბავი არ იციან. ფოტოებზე უკან წარწერებიც გაკეთებული მქონდა.

ვერ მაპატიებია ჩემი თავისთვის!

მაგრამ ომის შემდეგ თითქოს მალე გამოვისყიდე ცოდვა იმით, რომ რაჩიას ჩემი წიგნი გავუგზავნე, რომელსაც დართული ჰქონდა ავტორის ფოტოსურათი, თანაც სწორედ ის, რიგაში გადაღებული! მაგრამ ეს მაინც სხვაა, მაშინ უნდა მეჩუქებინა!

ეჰ, ძვირფასო რაჩია, ჩემო ძმაო — ოღონდ სხვა გვარისაე!

...წავიდა ამ სოფლიდან ხალხთა მეგობრობის მეხოტბე, წავიდა ნაადრევად — ორმოცდაოთხი წლისა, ალესრულებელი დარჩა მრავალი მხატვრული ჩანაფიქრი, და თან გაჰყვა ჩვენი, ფრონტელი მეგობრების გულის ნაწილი.

ვლადიმერ თორდუა.

მეგობრობით გამთბარი დღეები

ამას წინათ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მოეწყო საბჭოთა წიგნის ათდღიური. ამ ღონისძიებაში ვმონაწილეობდით ოთხი მწერალი: ლარისა ვასილ[illegible]ევა — პოეტი (მოსკოვი), ლენინგრადის ხელმძღვანელი სერგეი კრივანოვსკი — პოეტი (მ[illegible]ვი), ვალდის რუჯა — პ[illegible] ([illegible]ტვია) და მე — პროზაიკოსი საქართველოდან.

ვასილიევა და რუჯა ბულგარეთის ჩრდილოეთ ქალაქებში გაემგზავრნენ, მე და კრივანოვსკი — ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში.

თავიდან ქალაქ პლოვდივში შევჩერდით. ამ ქალაქში პირველად 1945 წლის სექტემბერში ვიყავი და, გასაგებია, როგორ ვღელავდი. თუმცა ახალ პლოვდივს აღარაფერი აქვს საერთო იმ დროის ფაშისტების ექვსწლიანი თარეშით შელახულ, გაჭირვებულ, ეკონომიკამოშლილ ქალაქთან. დღეს პლოვდივს ამშვენებს ახალი რაიონები, აღდგენილია ძველი ქალაქი, რეკონსტრუირებულია ცენტრიც. ეს არის ქვეყნის მეორე ინდუსტრიული ქალაქი.

და მაინც მე ვიცანი სახლი, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, ლურჯი ფერის სასტუმრო „მოლე“, ჩემი ოთახი მეორე სართულზე.

პლოვდივში დავათვალიერეთ ორი წიგნის მაღაზია, სადაც ფართოდ იყო წარმოდგენილი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა, როგორც მხატვრული, ასევე პოლიტიკური.

ქალაქ კერჯალში ვეწვიეთ წიგნის სახლს. სახლი კი არა, ნამდვილი სასახლეა. წიგნები თარგობრივად არის განლაგებული და ყველა განყოფილებას აქვს კუთხე, სადაც შეგიძლიათ გადახედოთ წიგნს, რჩევისათვის მიმართოთ გამყიდველს. ამ სახლის სხდომათა დარბაზში გვქონდა პირველი შეხვედრა ბულგარელ წიგნის მოყვარულებთან, მკითხველებთან. ამ დღიდან მოყოლებული შეხვედრა შეხვედრას მისდევდა, მეტად საინტერესო, ცოცხალი, რაც მთავარია — მეგობრული [illegible] [illegible] გამსჭვალული.

[illegible] შეხვედრა [illegible] ლექსები და [illegible]. მათ ქართულად წავუკითხე აკაკის „ციცინათელა“, ხოლო ჩემი გამოსვლა ბულგარულ ენაზე მოსალმებით დავამთავრე და ვაჩუქე ქართულად გამოცემული ნოველების ციკლი „ბულგარული დღიურები“, დაწერილი ბულგარეთის სიყვარულით, ამ ქვეყნის მშრომელთა დიდი პატივისცემით.

გულთბილი შეხვედრები გაგრძელდა ქალაქ კრუმოვგრადში, შემდეგ სოფიაში.

სოფიაში მიგვიწვია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტერ პეტროვმა მადლობა გადაგვიხადა ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, ოთხივე დაგვაჯილდოვეს საპატიო სიგელით და ოქროს სამკერდე ნიშნით. მერე დაგვათვალიერებინეს ბულგარეთის საბრძოლო დიდების ისტორიული მუზეუმიც და სხდომათა დარბაზში მოგვიწყეს შეხვედრა იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც რუსულ ენას სწავლობენ. საღამოს საზეიმო განწყობით ჩაიარა. იყო იუმორი, ლირიკა, ვკითხულობდით რუსულ, ქართულ, ლატვიურ ლექსებს. იგრძნობოდა დიდი ინტერესი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

მოგზაურობის დასასრულს მოგვიწვიეს მწერალთა კავშირში. ბოლო შეხვედრა კი საქალაქო ბიბლიოთეკაში გვქონდა. მადლიერმა მსმენელებმა ვარდის თაიგულებით და ტაშით გამოგვაცილეს.

ნანა კანდელაკი.

წიგნის თარო

მონოგრაფიული ნაშრომი ტოპოლოგიაში

თავისთავად საყურადღებოა ფაქტი, როცა მეცნიერი ძირითადად საკუთარი კვლევა-ძიების შედეგებზე დაყრდნობით ქმნის საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნს ისეთ რთულ დარგში, როგორიც ჰომოლოგიის თეორიაა. ამიტომაც გამოიწვია ცხოველი ინტერესი ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. ბალაძის წიგნმა «Исследования по теории гомологии (экстраординарные теории)» რომელიც გამოსცემლობა „განათლებამ“ დასტამბა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ალგებრული ტოპოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია და ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენი წარმატება აქვს ქართველ ტოპოლოგთა ღვაწსა და გარჯას.

ფიგურათა საკვლევი თვისებების თვალსაზრისით ტოპოლოგია მესამე დიდი გეომეტრიული დისციპლინაა. იგი ჩვენს საუკუნეში ჩამოყალიბდა და ფიგურების ეგრეთ წოდებულ ზოგადი თვისებებს იკვლევს, სახელდობრ, რამდენი სიცარიელეა ფიგურაში, რამდენი ნახვრეტი აქვს მას, რამდენი ნაჭრისაგან შედგება და ა. შ.

დ. ბალაძის წიგნში ტოპოლოგიის ურთულესი ფიგურების, ეგრეთ წოდებულ სივრცეთა საკვლევად შექმნილი დიდი რაოდენობის სხვადასხვა მეთოდი განხილულია ავტორის მიერ წამოყენებული სამი ძირითადი იდეის მიხედვით. სხვათა შორის, ერთ-ერთი იდეა რამდენადმე გვიან წამოაყენა აგრეთვე ინგლისელმა ტოპოლოგმა უაილიმ. იგი პილტონთან ერთად ავტორია რუსულად თარგმნილი წიგნისა ჰომოლოგიის თეორიაში.

აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ქართველ მეცნიერს შემოაქვს ახალი ცნებები და ამტკიცებს ბევრ თეორემას.

წიგნის რედაქტორია ლენინური პრემიის ლაურეატი, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვ. ბოლტიანსკი. მასვე ეკუთვნის საინტერესო და ბევრი ინფორმაციის შემცველი წინასიტყვაობა.

დასასრულ — ორიოდე სიტყვა იმ გზაზე, რომელიც წიგნის ავტორმა განვლო დღემდე როგორც მეცნიერმა: დ. ბალაძემ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, შემდეგ ასპირანტურა. მისთვის დიდად ნაყოფიერი იყო წლები, როცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის მათემატიკის ინსტიტუტის ტოპოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა ტოპოლოგიის ერთ-ერთი კლასიკოსის, საბჭოთა ტოპოლოგიის ფუძემდებლისა და ხელმძღვანელის, აწ განსვენებული აკადემიკოსის პ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. ამჟამად დ. ბალაძე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. მისი ხელმძღვანელობით ბათუმსა და თბილისში რამდენიმე ასპირანტი მუშაობს. დარწმუნებული ვართ, სწავლული ლირსეულ ცვლას უზრდის ბათუმის ტრადიციულად ძლიერ მათემატიკურ კოლექტივს და ამითაც მნიშვნელოვან სამსახურს უწევს ჩვენს საერთო საქმეს.

გ. ჭოღოშვილი, აკადემიკოსი.

გამომცემლობა „განათლებამ“ ახლახან გამოუშვა მეორე, არსებითად და საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული ნევროპათოლოგიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი მინდაძე. წიგნი „ნერვული დაავადებანი“ განკუთვნილია სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

ა. მინდაძის წიგნის „ნერვული დაავადებანი“ პირველმა გამოცემამ (1976 წ.) ჭეროვანი ინტერესი და გამოხმაურება ჰპოვა სამედიცინო საზოგადოებრიობაში, მაგრამ მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, ნევროლოგია წინ წავიდა, მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები და, ცხადია, საჭირო გახდა სახელმძღვანელოს საფუძვლიანი შევსება-გადამუშავება. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მდიდარი, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკისა და მოხლოვებული ინფორმაციის მონაცემები საფუძვლიანად გაანალიზა და სწორი ინტერპრეტაციისა და საკითხთა შერჩევის მეოხებით მკითხველს გაუადვილა მეტად რთულ საკითხებში გარკვევა.

სახელმძღვანელო ავტორის ხანგრძლივი საექიმო, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის ნაყოფია.

სახელმძღვანელო მედიკოსებისათვის

591-გვერდიანი წიგნი ფუნდამენტური ნაშრომია [...]

ფილოები ომზე მოგვითხრობენ...

დიდი სამამულო ომის თემა ახლობელია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის გაიოზ კოტრიკაძისათვის.

მხატვრის ტილოებზე საბჭოთა კავშირის გმირები მ. ქანთარია და მ. ეგოროვი, რომლებმაც წითელი დროშა აღმართეს დამარცხებულ რაიხსტაგზე, საბჭოთა მეომრები მტერზე გადამწყვეტი იერიშის წინ, ადამიანები, რომლებიც ფრონტზე გამარჯვებას ზურგში ჭედდნენ...

გ. კოტრიკაძისა და სხვა ქართველი მხატვრების ნამუშევრებს მალე იხილავენ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენის დამთვალიერებლები. გამოფენა გაიხსნება საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში.

სურათებზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გაიოზ კოტრიკაძე და მისი ტილოები.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

სეფსისი საშიში დაავადება აღარ არის

ჯანმრთელობის დაცვა დიდი პარტიული საქმეა

ხუთ ექვსიოდე წელია საქართველოში შეიქმნა სეფსისის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცენტრის ხელმძღვანელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ვ. ბოჟორიშვილს ეწვია ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ნ. ნორაკიძე და ცენტრის მუშაობის გაცნობის მიზნით რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

— ორიოდე სიტყვით აგვიხსენით, რა დაავადებაა სეფსისი, შემდეგ კი გაგვაცანით, როგორ და რატომ ჩამოყალიბდა მის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური ცენტრი?

— სეფსისს უწოდებენ მთელ ორგანიზმში გავრცელებულ ინფექციურ დაავადებას, როდესაც ორგანიზმს მთლიანად დაკარგული აქვს თვითგამოჯანმრთელების უნარი და იგი შეიძლება გადარჩეს მხოლოდ დროული და ზედმიწევნით მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობით.

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრა 1973 წელს შეუდგა სეფსისის წინააღმდეგ მუშაობას. ეს იმიტომაც მოხდა, რომ არაქირურგიული სეფსისის მკურნალობის დროს არსებითად მარტოიი ალმოჩნდით. ჩვენს კლინიკაში შემთხვევით მოხვედრილი ავადმყოფები ერთიმეორეზე ილუპებოდნენ და ეს ეჭიმებს ოფიციალ სიტუაციას უქმნიდა. თავიდან რამდენჯერმე ვიმარჯეთ თანამედროვე მედიცინის საშუალებანი (განსაკუთრებით იმუნური პრეპარატები). ამის შედეგად [...]

— როგორია ცენტრის მუშაობის შედეგები?

— დაგისახელებთ რამდენიმე ციფრს, რომლებიც ცენტრის მუშაობის ეფექტიანობას გამოხატავს. მის ჩამოყალიბებამდე სეფსისით დაავადებულთა სიკვდილიანობის პროცენტი 50-ს აღემატებოდა, ახლა იგი ქირურგიული სეფსისის დროს 15-18-მდე, ხოლო არაქირურგიულის დროს 4,3 პროცენტამდე შემცირდა. თავიდან ყველას გაუკვირდა ჩვენი ასეთი მიღწევა და ბევრს ეჭვიც კი შეეპარა მასში, მაგრამ რესპუბლიკური ცენტრი ინახულა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ასობით სპეციალისტმა, ჩვენთან ერთთვიანი კურსები გაიარა საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის 200-მდე ექიმმა და პროფესორ-მასწავლებელმა, და ყველა ეჭვებლივ დარწმუნდა მიღწევათა რეალობაში. 1983 წლის შემოდგომაზე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. ბურენკოვი აკადემიკოსთა ჯგუფის თანხლებით ეწვია ჩვენს ცენტრს, მოისმინა ერთ[...] 1985 წლის ბოლოსათვის დამთავრდება.

— რას გვეტყოდით ცენტრის მუშაობის მეცნიერულ დონეზე, მის მასშტაბებსა და პერსპექტივაზე?

— ცენტრის საქმიანობა 1981 წლიდან უკვე გავიდა საკავშირო ასპარეზზე. 1981 წლის აპრილში ჩვენს ბაზაზე გაიმართა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს პლენუმი, ხოლო ამა წლის მაისში — რესპუბლიკური კონფერენცია სეფსისის თაობაზე. საკავშირო კონფერენციაა შეეხებოდა ყველა სახეობის სეფსისს. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 87-მა სწავლულმა სხვა რესპუბლიკებიდან (მარტო მოსკოვიდან 27-მა), მასში მონაწილეობდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე.

რესპუბლიკური ცენტრის საქმიანობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მთელ საბჭოთა კავშირში. ჩვენს მუშაკებს სეფსისის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და სა[...]

[...]ბაში ჩაწერა: „მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის ტიპის საოლქო (რესპუბლიკებში, რომლებიც ოლქებად არის დაყოფილი) და რესპუბლიკური (რესპუბლიკებში, სადაც ოლქებად დაყოფა არ არის) ცენტრების შექმნა.

ჩვენს ცენტრში მიმდინარეობს დიდი სამეცნიერო მუშაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს არა მარტო ცენტრის ყოველი მუშაკი, არამედ თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური ლაბორატორია (დირექტორი — პროფესორი გ. დუმბაძე), რენტგენის საავადმყოფოს ლაბორატორია (გამგე — ი. ბუნიატოვა) და სხვ.

სასიხარულოა, რომ ჩვენს ცენტრში კლინიკური ჭამოცდა გაიარა და დიდი ეფექტი მოგვცა ორმა ქართულმა პრეპარატმა. ესენი გახლავთ ანტისტაფილოკოკური ჰეტეროვენული გლობულინი (ავტორი — ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტის დირექტორი ი. გიორგაძე) და ვენაში შესაყვანი სტაფილოკოკური ფაგი (ავტორი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. ჭანიშვილი). ახლა ასეთსავე ეფექტით გადის დიდი იმედის მომცემი მესამე ქართული პრეპარატი — პლაცენტიდან მიღებული ინტერფერონი (ავტორი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბახუტაშვილი). ამ პრეპარატს, ჩემი აზრით, [...]

ჭადრაკი

მინსკის „დინამო“ მეოთხედფინალში ითამაშებს

უეფას თასის გათამაშების პროგრამით გუშინ თბილისში გამართულმა განმეორებითმა მერვედფინალურმა მატჩმა ჩვენი დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა, რომელსაც მინსკის „დინამოსა“ და ლოძის (პოლონეთი) „ვიძევს“ შორის უნდა გაერკვია, ვის ხვდებოდა წილად მეოთხედფინალის საგზური, უშეღავათო ბრძოლით აღინიშნა.

მოსალოდნელი იყო, რომ პოლონელები ძალებს არ დაზოგავდნენ რევანშისათვის (მათ ხომ პირველი შეხვედრა წააგეს — 0:2) და ასეც მოხდა: თავიდანვე რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს მინსკელთა კარს და... უკვე მეათე წუთზე დინამოელთა კარში პენალტი დაინიშნა. ეს კარგად გამოიყენა ძეკანოვსკიმ და ანგარიში გახსნა — 1:0. ამის მერე ერთხანს ინიციატივას მინსკელები ფლობდნენ, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო დაიძაბა, ორივე მეტოქის კართან ბურთის გატანის არაერთი რეალური შესაძლებლობა შეიქმნა, მაგრამ საწადელს ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია. ამრიგად, ლოძის „ვიძევმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. (ცხადია, ეს საკმარისი არ გახლდათ საბოლოო წარმატების მოპოვებისათვის. მინსკელებმა ორი მატჩის ჯამით (2:1) მეოთხედფინალისკენ გაიკვლიეს გზა.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა მეთვრამეტე საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ბოლო მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი-სსრ კავშირი (I) — 21:29, საქართველო-სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — 29:27.

ამრიგად, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა შეჯიბრებაზე ოთხივე მატჩი მოიგო, დააგროვა 8 ქულა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზს მეთოთხმეტედ დაეუფლა. რუმინეთის ნაკრები 6 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: პოლონეთი — 3 ქულა, საქართველოს სსრ — 2, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — 1 ქულა.

ამიერკავკასიის პირველობაზე

ამიერკავკასიის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის [...]

საპტურნირო ორბიტა

კლასიკური ჭიდაობა. მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში დამთავრებულ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ იუნიორ ათლეტთა (1966-67 წლებში დაბადებულები) საკავშირო პირველობაზე ჩინებულად იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა, რომელიც ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა გ. ბარბაქაძემ, თ. კიკნაძემ და ე. ფარჯანაძემ, არაოფიციალურ ნათვლაში ყველას აჯობა. პირადი ხათვლაში ოქროს მედლები [...]

მოსკოვი

ჩვენი ტელეეკრანებზე

თბილისი